



პიტერ კერი

კელის საძმოს უტყუარი ამბავი

დიდგენის
ბიბლიოთეკა

პიტერ კერი
კელის საქმის უტყუარი ამბავი

Peter Carey
TRUE HISTORY OF THE KELLY GANG

ინგლისურიდან თარგმნეს ზაზა ჭილაძემ და გია ჭუმბურიძემ



წიგნი გამოიცა ავსტრალიის მთავრობის ხელშეწყობით, კერძოდ, ავსტრალიის ხელოვნების საბჭოს მხარდაჭერით.

This project has been assisted by the Australian Government through the Australia Council, its arts funding and advisory body.

© Peter Carey, 2000
Map © Random House Inc., 2001
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-706-0


www.diogene.ge

ვუძღვნი ელისონ სამერსს



ვიქტორიის კოლონია





კელის სამოს უტყუარი ამბავი

წარსული არ მომკვდარა – ეგ კი არა, არც არსად წასულა
უილიამ ფოლკნერი

გამთენიისას კელის საძმოს ნახევარი მაინც უკვე მძიმედ იყო დაჭრილი და პოლიციელთა რიგებთანაც სწორედ მაშინ გამოჩნდა ის რაღაც უცნაური არსება. ერთი შეხედვითვე ეტყობოდა, რომ ადამიანური არაფერი ეცხო: თავი საერთოდ არ ჰქონდა – მხოლოდ გრძელი, სქელი კისერი და საოცრად განიერი გულ-მკერდი; აუჩქარებლად, ზანტადაც კი მოაბიჯებდა ტყვიების ამ წვიმაში. ზედიზედ რამდენიმე ნასროლი მოხვდა, თუმცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და ეს არსებაც ისევ ჯიქურ მოიწვედა პოლიციელთა ცოცხალი ჯაჭვისაკენ. მხოლოდ შიგადაშიგ ჩერდებოდა წამით, რათა მოსამართ სათამაშოსავით ნელ-ნელა მიეტრიალებინა აქეთ-იქით ის უთავო კისერი.

ვერაფერს დამაკლებთ, ბიჭებო! ჩემთან ეგეთები არ გაგივით...

პოლიციელებს მარტინი-ჰენრის უახლესი მოდელის შაშხანები ჰქონდათ, მაგრამ ურჩხულის ტყავი ტყვიას სულ იოლად ისხლტდა. თავდასხმას ხან დამბაჩის სროლით პასუხობდა, უფრო ხშირად კი კისერზე იკაკუნებდა იმავე დამბაჩის ტარს და ეს ხმა დილის ჰაერში მჭედლის უროს დარტყმებივით ყრუდ გაისმოდა.

თქვენ მხოლოდ ბავშვებთან გაქვთ დიდი გული, დამპალო ძალებო! აბა მე ფეხებსაც ვერ მომჭამთ...

მერე, როცა ეს უცხო არსება გ ზისპირა თხრილს მიუახლოვდა გამხმარ ევკალიპტებთან, პოლიციელებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ცეცხლი. არადა, ურჩხულს ნირი არ შეუცვლია, ისევ ნელგამართული მოაბიჯებდა და კისერზეც უწინდებურად უცნაურად იკაკუნებდა დამბაჩის ტარს. როგორც იქნა შედგა, უთავო კისერი მარცხნივ შეატრიალა და დაჟინებით მიაჩერდა ხესთან გაუნძრევ-

ლად მდგომ ტანმორჩილ, ჩასუქებულ, თვიდისქუდიან მამაკაცს. ნამში დამბაჩა შემართა, გაისროლა, მაგრამ ქუდიანმა, ვითომც აქ არაფერიო, ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და თვითონაც ორჯერ დაახალა თავისი შაშხანიდან.

ფეხები, შე ვირიშვილო...

ურჩხული მთვრალივით დაბარბაცდა, წონასწორობა დაკარგა და იქვე, გამხმარი ევკალიპტების ძირას გაიშხლართა. ცოტა ხანში ნაქცეულს სათლის მსგავსი ფოლადის მძიმე ჩაფხუტიც ნაადრეს თავიდან და მასში ნედ კელი ამოიცნეს – ბოლოს და ბოლოს, კუთხეში მიმწყვდეული ეს ველური მხეცი. მიტკალივით გადაფითრებულს, მთელი ტანი უცახცახებდა, სახე და ხელები სისხლით მოთხვროდა, მკერდსა და ბოქვენს კი მეოთხედი გოჯის სისქის ფოლადის ტყვიავაუმტარი ფირფიტები უფარავდა.

ამასობაში მომხდარზე პასუხისმგებელმა პირმა ფარდა ჩამოუშვა და ეგრევე შეეტყო, საერთოდ რომ აღარ ადარდებდა არც ტყვიების ზუზუნი და არც დაჭრილების მოთქმა-გოდება.

უკვე საღამოხანს რამდენიმე პოლიციელმა ის და მისი მეუღლე თავიანთი კოტეჯიდან სადგურამდე მიაცილეს, საგანგებო მატარებელში ჩასვეს და მერე ამ კაცს აღარც სასამართლოზე დაუმონებია რამე და არც 1880 წლის 28 ივნისს გლენროუენში გამართულ იმ საჯარო ვაჭრობას დასწრებია, სადაც სუვენირებად გაიყიდა დახოცილთა თოფ-იარაღი, აბჯარი თუ ტყვია-წამალი. და მაინც, სწორედ ამავე კაცმა დაინარჩუნა კელის საძმოს სისასტიკეთა მატინე – ცამეტ დასტად აკინძული, დალაქული, კუთხეებაპრეხილი, ნედ კელის გამორჩეული ხელით ნანერი ფურცლები, რაც 28-ის საღამოსვე გადაგზავნა მელბურნში, ლითონის ზარდახშაში საიმედოდ დაბინავებული.

მელბურნის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცული უსახელო და უთარილო ხელნაწერიდან.

ფურცლების პირველი დასტა

მისი ცხოვრება 12 წლამდე

ეროვნული ბანკის ბეჭდიანი ქაღალდები. დიდი ალბათობით – ამავე ბანკის ეუროის ფილიალიდან წამოღებული 1878 წლის დეკემბერში. საშუალო ზომის (დაახლ. 8X10-ზე) ორმოცდახუთივე ფურცელი ზედა კუთხეში გახვრეტილია და შიგ ეტყობა ადრე მათი ერთად შემკვრელი ზონარი უნდა ყოფილიყო გაყრილი. ფურცლები უკვე ძალიან გაჭუჭყიანებულია.

აქ ძირითადად პოლიციასთან მისი ადრეული ურთიერთობის ამბებია მოთხრობილი, მათ შორის – ტრანსვესტიზმის ბრალდებითაც. ასევე, რამდენიმე მოგონება ქუინების ოჯახსა და ავენილში გადასახლებაზე. ისიცაა ნათქვამი, რომ მამამისი შეცდომით დააპატიმრეს, ვითომდა მარეების უშობელის ქურდობისთვის. აქვეა ახსნილი, საიდან გაჩნდა დღეს უკვე ბენალის საისტორიო საზოგადოების ხელთ არსებული ქამარი და ბოლოს ჯონ კელის სიკვდილია აღწერილი.

მე თითონ მამა 12 წლისას მომიკვდა და ვიცი რასაც ნიშნავს როცა სულ ტყუილებით ანდა ბავშვობიდანვე მიჩუმათებით გიმა-ლავენ სიმართლეს. შენც ჩემო საყვარელო გოგო ჯერ ძალიან პა-ტარა ხარ და სიტყვასაც ვერ გაიგებ შენთვის დაწერილი ამ ამბი-დან ოღონდ შიგ ერთ ტყუილსაც ვერ იპოვი თუ არადა ჯოჯოხეთის ცეცხლმა დაწვას სიცრუისთვის.

ღმერთმა ინებოს იმდენ ხანს ვიცოცხლო საკუთარი თვალით ვნახო როგორ კითხულობ ამ სიტყვებს როგორი გაოცებული რჩე-ბი როგორ გიფართოვდება ეგ შავი თვალები და ყბაც გივარდე-ბა გაოგნებისგან როცა საბოლოოდ იაზრებ რა უსამართლობის მსხვერპლიცა ვართ სანყალი ირლანდიელები ამ ჩვენ დროში. ალ-ბათ რა უცხოოდ და უცნაურად მოგეჩვენება ყველა ეს უწმანური სიტყვა თუ სისასტიკე რაც იმედი მაქ უკვე შორეულ წარსულშია ჩარჩენილი.

ბაბუაშენი ერთი უთქმელი გულჩათხრობილი კაცი იყო არადა მაინც ტაცეს ქეჩოში ხელი მშობლიურ თიფერარის ძალისძალად მოაშორეს და ვან დიმენის მიწის ერთ-ერთ საპყრობილეში უკრეს თავი სადაც არ ვიცი რა უქნეს ან რა დამართეს რადგან ამაზე კრინტი არასოდეს დაუძრავს. ბოლოს როცა იმისი ტანჯვა-წამება მობეზრდათ გამოუშვეს და იმანაც ისევე გადასერა ზღვა ახლა უკვე ვიქტორიას კოლონიაში ჩასასვლელად. იმ დროს ოცდაათი წლისა იქნებოდა ჟღალთმიანი სახედაჭორფლილი და თაკარა მზით სა-მუდამოდ თვალებმონკურული. მამაჩემმა თავის თავს მიცა ფიცი ცხოვრებაში აღარასდროს მიექცია კანონის დარღვევის ყურადღება და როცა მელბურნის ქუჩებში ბუზებზე მეტი პოლიციელი დაით-

ვალა იქიდან 28 მილი ფეხით იარა დონიბრუკის დასახლებამდე სადაც მისვლისთანავე ანდა მისვლიდან სულ მალევე დედაჩემიც გაიცნო თურმე. ელენ ქუინი 18 წლისა ყოფილა მაშინ შავგვრემანი და ჩამოქნილი ცხენზე მჯდომი კი თურმე სულაც კალმით ნახატს გავდა ოლონდ აი ბეზიპენი კი წითური კელისთვის მართლა მახე გამოდგა. ის ხო გვარად ქუინი იყო პოლიცია კი ამ გვარის ხალხს უყურადღებოდ აბა როგორ დატოვებდა როდისმე.

სულ პირველი ის მახსოვს როგორ ტეხავს კვერცხს დედაჩემი ჯამის კიდეზე და თან ტირის რადგან ბიძაჩემი 15 წლის ჯიმი ქუინი სწორედ იმ დღეს გაბანრეს იქაურმა ნესრიგის დამცველებმა. არ ვიცი სად იყვნენ მაშინ ან მამაჩემი ან ჩემი უფროსი და ენი. მე იმ დროს სამი წლისა ვარ. ვიდრე დედა იცრემლებოდა კოვზი მოტკობო ყვითელი ცომის გუნდაში ვტუცე და გემრიელადაც გავტლიკე ოლონდ ცოტ-ცოტა ძირსაც ჩამომეღვენთა და ღუმელის გახურებულ სახურავს შიშინით მიეხრუკა.

დედამ ნამცხვარი ტილოს ნაჭერში გაახვია და თავიც მოუკრა. მამიდაშენი მეგი სულ ერთი ბენო იყო იმხანად. დედამ ისიც საბანში გაახვია და ნამცხვრიან-ბავშვიანად გავიდა შინიდან წვიმაში. მეც სხვა რა დამრჩენოდა უკან მიყყევი. გორაკზე მიმავალს დღემდე თვალწინ მიდგას მდოგვისფერი გუბეები და წვიმის წვეთები ნემსებივით რო მესობოდენ თვალებში.

ბივერიჯის პოლიციის საგუშაგომდე უკვე მთლად გალუმპულეები მივედით და ეჭვი არაა სველი ძაღლებივით სილარიბის ძლიერ მყრალ სუნსაც ვაფრქვევდით და ამ თუ კიდეც სხვა რამ მიზეზის გამო უცებვე გამოგვყარეს სერჟანტის ოთახიდან. მახსოვს როგორ ვყოფდი გათოშილ თითებს კარს ქვემოთ ღრიჭოში ეგებ ოთახიდან მომავალმა სითბომ მიშველოსმეთქი არადა როცა ბოლობოლო შესვლის ნება მოგვცეს მთელი გულისყურით ბუხარში აბრიალებულ ცეცხლს კი არა ზორბა სახელაჟლაჟა ინგლისელს მივაჩერდი. იმის ვინაობა არ ვიცოდი და მარტო იმას ვხვდებოდი ამნაირი ყოვლისშემძლე ჯერ არავინ მინახავს და თუ მოინდომა დედაჩემსაც თვალისდახამხამებაში გაუსწორდებამეთქი.

ისე გვითხრა მომიახლოვდითო ვითომ ის მაგიდა საკურთხევე-
ლი ყოფილიყო.

დედამ ნაბიჯი გადადგა და მეც საჩქაროდ მივყევი. მერე იმ ინ-
გლისელს ეუბნება თქვენი ერთ-ერთი პატიმრისთვის გვარად ქუი-
ნისთვის ქადა გამოვაცხვე და ძალიან მადლობელი დაგირჩებით
თუკი გადამაცემინებთ რადგან ჩემი ქმარი საქმეზეა წასული მე კი
დღეს კიდე კარაქიც მაქ შესადღვები და ჯერ არც ღორებისთვის
მიმიცია სალაფავიო.

იმ ინგლისელმა – ვერავითარ ქადას პატიმარი ვერ მიიღებსო
და მეც მაშინვე მეცა იმისი უცხო მძაფრი სუნი. ლამის ნახევარ
სახეს უღვაში უფარავდა გამეჩხერებულ თმაში კი თავის ქალა უბ-
ზინავდა.

ვერანაირ ქადას ვერავინ ვერ მიიღებს სანამ ჯერ მე თითონ
არ შევამონმებო გამოაცხადა და დიდრონი ხორციანი ხელიც ისე
აიქნია დედაჩემი მიხვდა კალათა მაგიდაზე უნდა დაედო. კაცმა
კვანძი გახსნა ისეთი სუფთა ფრჩხილები ჰქონდა გეგონება თითები
წინასწარ ჩაყო კირიან სათლშიო და მეც დღემდე თვალწინ მიდგას
იმ თითების უცნაური სისხარტე როცა დედაჩემის ნახელავი შუაზე
გადატეხა უცებვე.

სიღარიბესაც ავიტანდი

შეჭირვებასაც

მაგრამ რას ვუზამ

დამცირებას მოუნელებელს...

ნაძღვეს დავდებ უკვე მოსმენილიც გექნება ის ამბავი როგორ
მოუგო ბებიაშენმა სასამართლო დავა ბილ ფროსტს მერე კი სულ
ცეკვა-ცეკვით ჩაიარა ბენალას მთავარი ქუჩა. ყველა გეტყვის მხდა-
ლი ნამდვილად არ ყოფილაო ოღონდ ამ შემთხვევაში კი თითონვე
მშვენივრად მოეხსენებოდა ენას კბილი უნდა დავაჭიროო. მოკლედ
გაახვია ნაჭერში ჯერაც თბილი ნაფჩხვენები და ისევ წვიმაში გაა-
ბიჯა. მე უკნიდან მივძახოდი მარა არ ესმოდა და მომინია ფეხდა-
ფეხ მივყოლოდი ატალახებულ ეზოში. ჯერ მეგონა საპირფარეშოს
კარზე აკაკუნებსმეთქი და მართლა დავიზაფრე როცა მივხვდი ჩემი

ყმანვილი ბიძა თურმე იმ ხუხულაში რო ყავდათ გამომწყვდეული. ასე დაუნდობლად დასაჯეს თვალზე ლიბრგადაკრული უშობელის მოპარვისთვის და იმ საქათმისოდენა მინურში გამოკეტეს. დედაჩემს მოუწია ტალახში ჩაჩოქილიყო და ქადის მონარჩენები კარს ქვემოდან შეეძვრინა საამისოდ მეტისმეტად ვინრო ჭუჭრუტანაში. თან იცრემლებოდა და გაიძახოდა – ღმერთო შენ გვიშველე ნეტა რა უნდა დაეშავებინა ჯიმის ისეთი ამნაირად რომ ტანჯავენო?

საერთოდ ტირილი არ ჩვეოდა მარა მაშინ გულდათუთქული მოთქვამდა. მეც მივვარდი მივეხუტე კოცნა დაფუნყე ოლონდ ის ჯერაც არ მიმჩნევდა. ლამაზ სახეზე ღვარად სდიოდა ცრემლი როცა ბოლოს მაინც მოახერხა და გატალახიანებულ ნაჭერში გამოხვეული ქადის მონარჩენები კარქვეშ შეტენა.

ისიც წამოიძახა კაცი რო ვიყო ამ ნაბიჭვრებს დავხოცავდიო და ნათქვამისთვის ღმერთს იქვე მოუბოდიშა. საერთოდ ბლომად მაგარ-მაგარი სიტყვები დახარჯა ოლონდ მე იმათ აქ არ დავნერ. მოკლედ ისე ილანძლებოდა და თან იმუქრებოდა კიდევ რო კაი ვაჟკაც კაცს შემურდებოდა.

მშობელი დედისაგან გაგონილი ამნაირი სიტყვები ცხადია პატარა ბიჭს შიშით გულს გაუხეტქავდა ოლონდ მე ორი დღის მერე უფრო მაგრად შევმინდი როცა შინ დაბრუნებულ მამაჩემს ზუსტად იგივე გაუმეორა და მივხვდი ბრაზი ჯერაც არ განელებოდა.

თითონაც არ იცი რაებს რომავო უთხრა მამამ დედაჩემმა კი სულ ლაჩარი ეძახა. მე ყურებზე ხელები ავიფარე და სახე ჯვალოგადაკრულ ბალიშში ჩავრგე არადა არც დედა ჩუმდებოდა და არც მამაჩემი აპირებდა კანონის წინააღმდეგ წასვლას. სულ იმას ვნატრობ ნეტა მაშინაც მცნობოდა საკუთარი მშობლები როცა იმათ მართლა უყვარდათმეთქი ერთმანეთი.

თავის დროზე იმასაც მიხვდები რამდენ საიდუმლოს დაატარებდა ბაბუაშენი და როგორ განსხვავდებოდა იმისი სიტყვა და საქმე. ამ ჯერზე კი იმის თქმაც ვიმყოფინოთ რო დედაჩემს სხვა აზრი ჰქონდა საკუთარ ქმარზე პოლიციას კი სრულიად განსხვავებული. დედას ის ერთი ვილაც უხერხემლო კაცი ეგონა. კანონის ჩვენებურმა

დამცველებმა კი კარგად იცოდნენ თავის დროზე ვან დიმენის მინა რო მოეწლო. დაბადებით თუ მონოდებით დამნაშავე იყო ცოლიც ან-გარებით მოეყვანა და ამიტომ ერთთავად გვიმონმებდნენ როგორც დამლებს ჩვენს ხარ-ძროხაზე ისე ფქვილს ბედელში – იქნება ნაპა-რავს მივაგნოთ რამესო ოლონდ ვირთავგის ცურცლის მეტს ვერც ვერაფერს პოულობდნენ. ეტყობა გემო თუ იზიდავდათ იმისი.

ჩვენში დარჩეს და ბებიაშენს არც იმდენად სძულდა პოლიცია როგორც იმისი წყევლა-კრულვით შეიძლება იფიქროს ვინმემ. იმათ ამოხოცვას კი ნატრობდა ხოლმე ოლონდ სანამ აქამდე მიიყვანდა საქმეს არც იმათთან ერთად გადაკვრაზე თუ მასხრობაზე იტყოდა უარს. ერთი იყო სერჟანტი ო'ნილი ვინც დედაჩემს დანარჩენებ-ზე მეტად ეხატებოდა გულზე. ახლა შედარებით გვიანდელ დროზე ვლაპარაკობ როცა დაახლოებით ცხრა წლის ვიქნებოდი რადგან ჩვენი და ქეთი სწორედ მაშინ დაიბადა. მამა ისევ თავის საქმე-ზე იყო წასული. ჩვენ პატარა ქოხში კი მაინც არ იყო ტევა. ექვს ბავშვს გვეძინა გვერდიგვერდ კედლების მაგიერ ფარდებით და-ტიხრულ ხელისგულისოდენა ოთახში. გვეგონებოდა ტანსაცმლით გამოვსებულ კარადაში ცხოვრობენო.

ამნაირ მოჟამულ სამყაროში გვსტუმრობდა ხოლმე ნადრე-ვად თმაგათეთრებული სერჟანტი ო'ნილი ვინც ამ თმას მალი-მალ ივარცხნიდა საცეკვაოდ გამზადებულ გოგოსავით. მე და ჩემ და-ძმას ძალიან გვემეგობრებოდა და ხსენებულ სალამოსაც ფანქარი მომიტანა საჩუქრად. სკოლაში სანერად ნახშირს ვხმარობდით მა-ნამდე ფანქარი ხელში არც გვჭეროდა და გრაფიტისა თუ მოტ-კბო ფიჭვის იმისგან მომავალმა სუნმა თავბრუც კი დამახვია როცა სერჟანტმა საჩუქარს წვერი წაუთალა. მართლა მამასავით მექცეო-და ცალკე დამსვა მაგიდის ბოლოში და წინ ქალაღდის ფურცელი დამიდო. ჩემი და ენი ერთი წლით უფროსი იყო ოლონდ ო'ნილს იმისთვის არაფერი მოუტანია მაგრამ ეგ უკვე სულ სხვა ამბავია.

მაშინვე დიდი მონდომებით შევუდექი ფურცელზე ასოების გა-მოყვანას. დედაჩემი სერჟანტის გვერდით მაგიდის მეორე ბოლოში იჯდა და როცა კაცმა ჯობიდან ვერცხლის მათარა დააძრო ამისთვის

მეტი ყურადღება არც მიმიქცევია ვიდრე ენის ჯემს მეგის და დენის ვაქცევდი. როცა ანზანის ყველა ასო მთავრულით დავნერე მერე გვერდით პატარების მიწერაც დავიწყე და ამან ისე ჩამითრია უცებ ალაპარაკებული დედაჩემის ხმა თითქოს სადღაც ძალიან შორიდან მომესმა.

გაეთრიე ჩემი სახლიდანო.

თავი რომ ავიღე სერჟანტი ო'ნილს ხელი ლოყასთან მიეტანა და კანი ისე ავარვარებოდა ეტყობა დედას მისთვის სილა ეტკიცა.

გაეთრიე და გაეთრიეო გაყვიროდა დედა და იმისი ირლანდიური სიფიცხე კარგა ხანია უკვე აღარც ჩვენ გვიკვირდა.

დანყნარდი ელენ ხო იცი მე შენ უკადრებელს არაფერს გაკადრებო.

დედა კიდე უშვერი სიტყვით ილანძღებოდა.

ბოლობოლო კაცმა ხმა გაიმკაცრა. ელენ პოლიციის ოფიცერს ეგრე არ ელაპარაკებიანო უთხრა.

ამან დედაჩემი ისე გაახელა გეგონება ხარს წითელი ნაჭერი აუფრიალესო. წამოხტა და სტუმარს სულ დამპალი ნაბიჭვარი ეძახა. ჩემი ქმარი საქმეზე რო არ იყოს წასული მაგის თქმას როგორ გამიბედავდიო.

იცოდეთ ბოლოჯერ გაფრთხილებთ ქალბატონო კელიო უთხრა იმან. ამის გაგონებაზე დედამ სერჟანტის ფინჯანს ხელი დაავლო და სახეშეშლილმა შიგ ჩარჩენილი სითხე მიწურ იატაკზე დააქცია.

მიდი ბარემ დამიჭირე და ბორკილიც დამადე შე ლაჩაროო.

პანია ქეითი უკვე ტიროდა. ოთხი წლის ჯემი იატაკზე იჯდა და კოჭებით თამაშობდა თუმცა როცა ზუსტად იმის გვერდით ბრენდი დაიქცა ხელები ჰაერში გაუშემდა შეშინებულს. მე თითონ მაგიდის მეორე მხრიდან დედაჩემისკენ დავიძარი.

გაიგონე ძმაო დედაშენმა ლაჩარი რო მიძახაო?

მე ნებისმიერ შემთხვევაში დედის მხარს დავიჭერდი და ახლაც უსიტყვოდ ამოვუდექი გვერდით. რა იყო მოგბეზრდა წერაო მეკითხება ო'ნილი.

მე დედას ხელზე მოვკიდე ხელი იმან კი მკლავი მხარზე შემომხვია.